სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N11/10

<u>პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება</u>
<u>26 02 01</u>
<u>**გამარტივებული შესყიდვა**</u>

ქ. თბილისი **4 ნოემბერი 2022 წელი**

ერთი მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **იულია ტყეშელაშვილის** სახით და მეორე მხრივ **შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ხაჭაპურიძის** სახით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, *<u>„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და 2022 წლის 3 ნოემბრის №01/4368049 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</u>*

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის ბიოქიმიური ანალიზატორის (HumaStar 100-ის სერვისული მომსახურება) შეკეთების მომსახურების შესყიდვა **(CPV50400000 - სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება).**

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ბიოქიმიური ანალიზატორის HumaStar 100-ის სერვისული მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის (მომსახურების) ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით - ლარით.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **1000.00 (ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.3. ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი მოსაკრებელი და გადასახადი.

4. მომსახურების ხარისხი, გარანტია, მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.

4.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში (2022 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით).

4.3. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი №18 დაწესებულება - ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ - მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქსანი.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება (მომსახურების) მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტისა და ინსპექტირების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2.მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი, ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების 5.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

6.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 5.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
6.6. მიმწოდებელმა ანგარიშსწორების განხორციელებისათვის 5.1. ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია თუ არ წარუდგინა გაწეული მომსახურების დამთავრების დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, მიმწოდებელი 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ კარგავს მიწოდებულ საქონელზე თანხის მოთხოვნის უფლებას.
6.7 დაფინანსების წყარო: **2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები
7.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.2. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს მომსახურების ხარისხის და ღირებულების შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად;
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
გ) შემსყიდველს წარუდგინოს 6.3 ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტაცია.
დ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.2. უხარისხო მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.3. მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.4. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და ძალაშია **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა
10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.5. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო თუ წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ნებისმიერი ინფორმაცია ცვლილების შესახებ და ცვლილება ხელშეკრულებაში შეტანილად ჩაითვლება მეორე
10.6. მხარის მიერ ცვლილებაზე ხელმოწერის შემდგომ.
ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცრებია, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 11.1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/ორგანოების მიერ.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს ინსპექტირების აქტი.

12.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).

12.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის ან/და უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს მიმწოდებლის ხარჯებით მისი გამოსწორება.

12.4.ინსპექტირების აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება გაწეული მომსახურების ექსპერტიზა.

12.5. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

12.6. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებისთანავე გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება;

12.7. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მომარაგების სამმართველოს სამედიცინო ლოჯისტიკის მენეჯერი ლევან ზოზირაშვილი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ იმ შემთხვევებში, თუ:

ა)მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

ბ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაჯარიმებულ იქნა სამჯერ;
დ) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;
ე) ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე;
ვ) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.3.ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური მის: ქ. თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის N27, საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223, სახელმწიფო სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა GE24NB 0330 1002 0016 5022 ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	**შპს „ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია“** მის: ქ.თბილისი, ქავთარაძის N40 საიდენტიფიკაციო კოდი: 202161640 საბანკო რეკვიზიტები: სს "ბაზის ბანკი" ბანკის კოდი: CBASGE22 ა/ა GE34BS0000000004236996 დირექტორი Human Diagnostic Georgia LLC Digitally signed by Human Diagnostic Georgia LLC Date: 2022.11.04 12:00:06 +04'00'
/იულია ტყეშელაშვილი/	**/გიორგი ხაჭაპურიძე/**

INVOICE

თარიღი:

03/11/2022

ვისგან	ვის
ს/კ 202161640	ს/კ 205360223
დასახელება	დასახელება
შპს ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია	სპეციალური პენიტენციური სამსახური
მისამართი	მისამართი
ქ. თბილისი ქავთარაძის 40	ქ. თბილისი ზ. ანჯაფარიძის ქ. 27

საბანკო რეკვიზიტები

ბაზის ბანკი

ა/ა **GE34BS0000000004236996**

N	მომსახურების აღწერა	მომსახურების თანხა	მათ შორის დღგ
1	ბიოქიმიური ანალიზატორი HUMASTAR 100. საჭიროებს ნემსის ღერძის მამოძრავებელი მოტორის შეკეთებას. კიუვეტების, ოპტიკის შემოწმებას, ასევე ანალიზატორი საჭიროებს კალიბრაციას და ხარისხის კონტროლს.	1000	154.54

ჩანაწერთა რაოდენობა 1.

სულ გადასახდელი თანხა 1000 ლარი.

კომპანიის უფლებამოსილი პირი

ფინანსური მენეჯერი

ირმა არდაშელია

Human Diagnostic Georgia LLC

Digitally signed by Human Diagnostic Georgia LLC
Date: 2022.11.04 12:01:02 +04'00'

KA010132304630922

№01/368049 **03 / ნოემბერი / 2022 წ.**

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
გენერალურ დირექტორს ბატონ
ნიკა ცხვარაშვილს

სპეციალური პენიტენციური სამსახურის
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
იულია ტყეშელაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნიკა,

მოგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე პენიტენციური სისტემის N18 დაწესებულების ლაბორატორიულ განყოფილებას ესაჭიროება ბიოქიმიური ანალიზატორის HUMASTAR 100-ის შეკეთება. ეკონომიკური დეპარტამენტის მომარაგების სამმართველომ აღნიშნული მომსახურების ფასის დადგენის მიზნით განახორციელა ფასთაკვლევა. შემოთავაზება წარმოგვიდგინა მხოლოდ შ.პ.ს ,,ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"-მ, რომელშიც მითითებულია ჩვენს მიერ მოთხოვნილი მომსახორების ღირებულება.
გთხოვთ დაგვრთოდ ნება გავაფორმოთ ხელშეკრულება აღნიშნულ მომსახუროებაზე.

დანართი: შ.პ.ს ,,ჰუმან დიაგნოსტიკ ჯორჯია"-ს შემოთავაზება

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად იულია ტყეშელაშვილი